საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგორიშვილი პლატონ ვლადიმერის ძე

Image not found or type unknown



პ. გოგორიშვილი

გოგორიშვილი პლატონ ვლადიმერის ძე (25. VIII. 1899, სოფ. ბზვანი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 20. V. 1977, თბილისი), ქიმიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1956), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1980, გარდაცვალების შემდეგ; სხვებთან ერთად). დაამთავრა თსუ (1928). 1930 მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგ. ქიმ. ინ-ტში (1934- იდან – ლაბორ. გამგე). 1929–72 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. იყო თბილისის სტომატოლოგიური ინ-ტის არაორგ. ქიმ. კათედრის გამგე (1935–48). საფუძველი ჩაუყარა საქართველოში კომპლექსნაერთთა კვლევას, დაამუშავა და წარმოებაში დანერგა ნაბურღი წყლებიდან იოდის მიღების ახ. მეთოდი, შეიმუშავა მადნეულის სპილენძის სულფიდური მადნების გადამუშავების ავტოკლავურ-ჰიდრომეტალურგიული მეთოდი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.